

ა(ა)იპ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია

გამგეობის სხდომის

ოქმი №2

29.09.2016 წ.

ქ. თბილისი

ესწრებოდნენ: გამგეობის წევრები: ახოზაძე ოთარი, აჯიაშვილი მეგი, ლომსაძე დავითი, ოქრომჭედლიშვილი ალექსანდრე. სხდომას ესწრებოდა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი იური პაპასქუა და ფედერაციის დამფუძნებელი წევრი აფრიდონიძე ელგუჯა.

არ ესწრებოდნენ: ბაკაშვილი ნიკოლოზი.

თავმჯდომარეობდა ახოზაძე ოთარი

მდივანი: დავით ლომსაძე

დღის წესრიგი:

1. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის ოთარ ახოზაძის ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ განცხადების შესახებ;
2. ფედერაციის გამგეობის წევრობიდან და ფედერაციის წევრობიდან ნიკოლოზ ბაკაშვილის გასვლის თაობაზე განცხადების თაობაზე;
3. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხებთან დაკავშირებით ოთარ ახოზაძის ინფორმაცია.

მან განაცხადა, რომ პირადი მოტივებით მიღებული აქვს გადაწყვეტილება დატოვოს ფედერაციის თავმჯდომარის თანამდებობა და ვადაძე ადრე ითხოვს განთავისუფლებას. ახალი რეალობების გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე თავმჯდომარის არჩევის საკითხის გადადება არ ივარგებს, მით უმეტეს, ასევე პირადი მოტივაციით, ფედერაციის გამგეობაში შემოსულია კიდევ ერთი განცხადება ფედერაციის გამგეობის წევრის ნიკოლოზ ბაკაშვილის გამგეობის შემადგენლობიდან და ფედერაციის წევრობიდან გასვლის თაობაზე. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ კანონის მიღებასა და აქედან გამომდინარე, გადაუდებელი რეორგანიზაციულ პროცესებთან დაკავშირებით, აუცილებელია ფედერაციის გამგეობამ შეუფერხებლად იფუნქციონიროს. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის გადადგომა და ერთი წევრის გასვლა კი ფედერაციის საქმიანობას შეაფერხებს.

რამდენადაც მოქმედი წესდების 3.2 მუხლის თანახმად, ფედერაციის გამგეობის და თავმჯდომარის არჩევა უმაღლესი განმკარგულებელი ორგანოს ფუნქციებში შედის, მიზანშეწონილად მიიჩნევა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ფედერაციის წევრთა რიგგარეშე კრება.

აზრი გამოთქვს: ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა, მეგი აჯიაშვილმა, დავით ლომსაძემ, რომლებმაც გაიზიარეს რეორგანიზაციულ პროცესებზე შექმნილი ვითარების უარყოფითი გავლენის მოსალოდნელი შესაძლებლობა და მხარი დაუჭირეს ფედერაციის წევრთა რიგგარეშე კრების მოწვევის საჭიროებას.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ფედერაციის გამგეობა შუამდგომლობით წარსდგეს ფედერაციის წევრთა რიგგარეშე კრების წინაშე, რათა მან ახალი რეალობების გათვალისწინებით, მიიღოს წესდების ახალი რედაქცია, რომელშიც ფედერაციის გამგეობა განისაზღვროს 9 წევრის შემადგენლობით. ფედერაციის გამგეობის შემადგენლობა შეივსოს ახალი წევრებით, მათ შორის, გათვალისწინებულ იქნას აჭარის რეგიონის წარმომადგენელიც.

გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე რეკომენდაცია გაეწიოს ელგუჯა აფრიდონიძეს. განსახორციელებელი რეორგანიზაციის და პერსპექტივის გათვალისწინებით, ფედერაციის გამგეობის ახალ შემადგენლობაში შემადგენლობა გაეწიოს ოთარ ახოზაძეს, მეგი აჯიაშვილს, დავით ლომსაძეს, ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილს, იური პაპასქუას, სულიკო ფუტკარაძეს, თეიმურაზ ცერცვაძეს, ლევან ჯანგულაშვილს.

ახალ წესდების რედაქციაზე მუშაობა ეთხოვოს იური პაპასქუას.

კენჭი ეყარა წინადადებას ფედერაციის რიგგარეშე კრების მოწვევის, წესდების ახალი რედაქციის მიღების, ფედერაციის ახალ შემადგენლობაში დასახელებული კანდიდატურების განხილვის, ასევე, ოთარ ახოზაძისა და ნიკოლოზ ბაკაშვილის განცხადების დაკმაყოფილების შესახებ უმაღლესი განმკარგულებელი ორგანოსათვის შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: მიმდინარე საკითხის ფარგლებში, ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ფედერაციის გამგეობისგან მოითხოვა მომდევნო სხდომა მიემდგინა ფედერაციაში გაწევრიანების თაობაზე მოღებულ განცხადებების განხილვას, ფედერაციის საიტზე განსათავსებლად, კომიტეტების დებულებების განახლების და ახალი შემადგენლობის წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა, მეგი აჯიაშვილმა, დავით ლომსაძემ, რომლებმაც გაიზიარეს ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურების აუცილებლობა. მიზანშეწონილად მიიჩნიეს აღნიშნულ საკითხზე გამგეობის სხდომა გაიმართოს მ/წლის 14 ოქტომბერს.

კენჭი ეყარა აღნიშნულ წინადადებას.
გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

1. მიღებულ იქნას შუამდგომლობა ფედერაციის წევრთა რიგგარეშე კრებაზე განსახილველად:

- ოთარ ახოზაძისა და ნიკოლოზ ბაკაშვილის განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე;
- ფედერაციის გამგეობის 9 წევრის შემადგენლობით განსაზღვრის შესახებ;

ფედერაციის გამგეობის შემადგენლობაში ასარჩევ კანდიდატურებად ოთარ ახოზაძის, მეგი აჯიაშვილის, დავით ლომსაძის, ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილის, იური პაპასქუას, სულიკო ფუტყარაძის, თეიმურაზ ცერცვაძის, ლევან ჯანგულაშვილის წარდგენის თაობაზე;

2. ფედერაციის წევრთა რიგგარეშე კრების მოწვევის თარიღად განისაზღვროს 6 ოქტომბერი;

3. დაევალოს ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორს იური პაპასქუას ფედერაციის მოქმედი წესდების 3.1 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს ფედერაციის წევრთა რიგგარეშე კრების მოწვევა.

4. ეთხოვოს იური პაპასქუას ახალი რეალობების და გამგეობის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, გადაამუშაოს გამგეობის მოქმედი წესდება და რიგგარეშე კრებაზე განსახილველად ფედერაციის წევრებს დაუგზავნის წესდების ახალი რედაქცია.

სხდომის თავმჯდომარე:
მდივანი

ო. ახოზაძე
დ. ლომსაძე